


დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ამაგის“ დირექტორის 2017 წლის 21
თებერვლის ბრძანება N21
ცვლილებები: N57; 27.07.2017

საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი:  რუსუდან სუხიშვილი



შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ამაგი“



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი

ქ.გორი
2017 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესი განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას, შინაარსს, მისი შემუშავების და დამტკიცების პროცედურებს; დოკუმენტი შემუშავებულია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის და განათლების შესახებ სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებზე და უცხოური საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილებაზე დაყრდნობით.

მუხლი 2. პროგრამის შემუშავების ეტაპები

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ხელმძღვანელობით.
2. პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას ღებულობს შესაბამისი დარგის პედაგოგები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები.
3. პროგრამას ამტკიცებს საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი.
4. დასამტკიცებლად წარმოდგენილ პროგრამის პროექტს, თან უნდა დაერთოს პრაქტიკის გავლის ობიექტთან დადებული ხელშეკრულება/მემორანდუმები.

მუხლი 3. პროგრამის სტრუქტურა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში – პროგრამა) უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე დოკუმენტით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს და მასში მითითებული უნდა იყოს:
 - ა) პროგრამის სახელწოდება;
 - ბ) პროფესიული განათლების საფეხური;
 - გ) მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია;
 - დ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით;
 - ე) პროგრამის ხელმძღვანელი;
 - ვ) სწავლების ენა;
 - ზ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
 - თ) პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია პროფესიული სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე;
 - ი) სწავლის შედეგი;
 - კ) დასაქმებისა და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები;
 - ლ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები;
 - მ) პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;
2. პროგრამას ასევე უნდა ახლდეს:
 - ა) სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით.
 - ბ) სასწავლო კურსების/მოდულების პროგრამები (სილაბუსები);
 - გ) პროგრამის სასწავლო კურსების/მოდულების წინაპირობების მატრიცა და სწავლის შედეგების რუქა;
 - დ) ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ;
 - ე) სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები;

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროგრამა მოიცავს:

ა) პროგრამის აღწერას;

ბ) სასწავლო გეგმას;

გ) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაციას;

დ) მოდულებს (ზოგადი, სავალდებულო, არჩევითი);

4. დასაშვებია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება არ ემთხვეოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროგრამის სახელწოდება ემთხვევა ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდებას.

5. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამაში.

6. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: მიმართულია პროფესიული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის დონის განსაზღვრაზე და გამომდინარეობს კოლეჯის მისიიდან.

7. სწავლის შედეგი: სწავლის შედეგები აღწერილია "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს კონკრეტული საფეხურისა და დარგობრივი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად.

9. სასწავლო გეგმაში მითითებულია სასწავლო კურსები, პრაქტიკა კრედიტების მიხედვით. კრედიტი მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

10. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

კრედიტის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც აისახება ამ მუხლის პუნქტით 2

(ა) გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მეშვეობით.

შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (ა) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% დამეტი;

ა.ბ) (ბ) ძალიანკარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (გ) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (დ) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (ე) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასები 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და რომ ეძლევა შესაძლებლობა, ჩააბაროს დამატებითი გამოცდა დამოუკიდებლად მუშაობის შემდეგ;

ბ.ბ) (F) ჩაჭრა 40% ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია და მითითებულია 100 ქულაში შუალედური და საბოლოო შეფასების წილი. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების ერთჯერადი შეფასება მხოლოდ საბოლოო გამოცდის საფუძველზე. შეფასება უნდა მოიცავდეს:

ა) შუალედურ შეფასებებს;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას;

დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში გამოცდიდან, სულ მცირე, 10 დღეში პროფესიულ სტუდენტს დამატებითი გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს.

11. სწავლების მეთოდები სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევისათვის შემუშავებულია სწავლების ადეკვატური მეთოდები.

12. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ. ინფორმაცია იმ პერსონალის შესახებ, რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული სასწავლო კურსების წარმართვაში მონაწილეობენ.

13. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ. ინფორმაცია მატერიალური რესურსის შესახებ, რომელიც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის.

14. სსსმ პირებისათვის, სტუდენტის მობილობის შემთხვევაში და სტატუსს აღდგენილი სტუდენტისთვის ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ და მტკიცდება დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 4. პროფესიული განათლების საფეხურები

ა) I საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს თავისი მოვალეობების ერთგვაროვან სიტუაციებში მეთვალყურეობით შესრულების უნარი;

ბ) II საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს თავისი მოვალეობების გარკვეული დამოუკიდებლობით შესრულების უნარი;

გ) III საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, განსხვავებულ სიტუაციებში შეასრულოს თავისი მოვალეობები და ადეკვატურად იმოქმედოს წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად;

დ) IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, პროფესიული ცოდნა გამოიყენოს ცვალებად სიტუაციებში წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად, ზედამხედველობა გაუწიოს სხვების საქმიანობას და აიღოს გარკვეული პასუხისმგებლობა შესრულებული სამუშაოს შეფასებასა და გაუმჯობესებაზე;

ე) V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც მოითხოვს სხვათა სამუშაოს დაგეგმვასა და ხელმძღვანელობას, ასევე განხორციელებული სამუშაოს შეფასებასა და სრულყოფას.

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამის განგარიშება კრედიტებით

1. კრედიტი გამოხატავს ცალკეული სასწავლო კურსით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასათვისებლად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას (დატვირთვას).

2. კრედიტების განაწილება ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებს შორის. პრაქტიკის საერთო წილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში უნდა იყოს პროფესიული სტანდარტის შესაბამისი.

3. კრედიტთა განაწილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებს შორის უნდა იძლეოდეს სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის შესაძლებლობას.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

1. კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს:
2. ა) ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას და სხვ.
ბ) პრაქტიკულ მეცადინეობას;
გ) დამოუკიდებელ მეცადინეობას;
დ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;
ე) სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას;
პრაქტიკისკომპონენტიითვალისწინებსპრაქტიკულმეცადინეობასადაგამოცდისჩაბარებას .
3. ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.

მუხლი 7. პროგრამაში ცვლილებების შეტანა

1. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში შეტანილი ცვლილებების ან სხვა გარემოებების საფუძველზე;
2. პროგრამაში ცვლილებების შეტანა ხდება ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ეტაპების დაცვით.